განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები
ბაკალავრიატი
ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი 20.07.2020
დასკვნის წარდგენის თარიღი 02.09.2020

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	404987332
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი საერთაშორისო ურთიერთობებში 0705 სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი პოლიტიკის მეცნიერებაში 0702
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებულია 7/15/2015,57 გადაწყვეტილებით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით გეგეჭკორი, სსიპ -აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ფავლენიშვილი,სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მალხაზ გაგუა ლიბერალური აკადემია თბილისი, კვლევითი პროგრამების ხელმძღვანელი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნიკა გიგაური,სსიპ -ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2015 წლის 15 ივლისს (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #57) და ამჟამად წარმოდგენილია რეაკრედიტაციაზე. საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის, ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების N3 ბრძანების საფუძველზე, ორიენტირებულია სტუდენტზე და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად. პროგრამა განახლებულია ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის პოლიტიკის და დიპლომატიის სკოლის საბჭოს რეკომენდაციით (ოქმი #03/2020) და აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით N 3
პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების განახლებული პროგრამა მულტიდისციპლინარულია და სტუდენტებს საშუალებას აძლევს თავად ჩამოაყალიბონ საკუთარი პროფილი ძირითადი და დამატებითი კვალიფიკაციის ფართო არჩევნის საფუძველზე. პროფილის შექმნისთვის საჭირო ელემენტები დაჯგუფებულია შემდეგნაირად: ზოგადი კომპეტენცია, უცხო ენა, პოლიტიკის მეცნიერება, საერთაშორისო ურთიერთობები და დამატებითი კვალიფიკაცია ბიზნესის ადმინისტრირებასა და/ან საერთაშორისო სამართალში. პროგრამა ანიჭებს ორ კვალიფიკაციას სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი საერთაშორისო ურთიერთობებში, სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი პოლიტიკის მეცნიერებაში.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ქვეყანაში შექმნილი COVID -19 მდგომარეობის გამო პროგრამის შემოწმება ესქპერტების მიერ განხორციელდა ვიზიტის გარეშე თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებების მეშვეობით. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტებს.

- **რეკომენდაციები**
  - რეკომენდირებულია სასწავლო კურსების: 1.ტერორიზმი, კიბერ-უსაფრთხოება და მომავლის სახელმწიფო, 2. მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკური გეოგრაფია, 3.შესავალი საჯარო ადმინისტრირებაში, 4. საჯარო პოლიტიკა და ასევე ფრანგული ენის (A1; A2.1; A2.2; B1.1; B1.2) სილაბუსებში დასკვნითი შეფასების უფრო დეტალური კრიტერიუმების განსაზღვრა, რათა შეფასების პროცესი მეტად ობიექტური და ვალიდური იყოს. აღნიშნულ სილაბუსებში დღეის მდგომარეობით დასკვნითი შეფასების კრიტერიუმები ჩაშლილია 10ქულიანი დიაპაზონით (40-31 ქულა; 30-21 ქულა; 20-11 ქულა; 10-1 ქულა; 0-ქულა).

- სწავლის შედეგეგების უკეთ მიღწევის მიზნით პოლიტიკის მეცნიერების კომპონენტში პროგრამას დაემატოს სავალდებულო სასწავლო კურსი პოლიტიკური ფილოსოფიის (ანტიკურიდან თანამედროვე ეპოქამდე) შესახებ.

- რეკომენდირებულია უსდ-მ პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის უზრუნველყოს კურიკულუმის მიღმა ღონისძიებების ორგანიზება და მათში სტუდენტთა ჩართვა (მაგალითად: ადგილობრივი სტუდენტური კონფერენციების გამართვა, კვლევით პროექტებში სტუდენტების ჩართვა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით სხვა შემეცნებითი აქტივობებისა და ღონისძიებების ორგანიზება);

- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მიუხედავად უნივერსიტეტის მზაობისა, მაქსიმალურად იყოს სხვადასხვა საუნივერსიტეტო მასშტაბის ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართული, კარგი იქნება, თუ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი და უფრო კონკრეტულად პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა, უფრო მეტად იქნება ჩართული საერთაშორისო პროცესებში, რაც გულისხმობს სტუდენტთა და აკადემიური, თუ ადმინისტრაციული პერსონალის მობილობის, ტრენინგებისა და საერთაშორისო აქტივობებში ჩართვას; უნივერსიტეტში მეტი გაცვლითი პროგრამის არსებობას; მეტ უცხოურ უსდ-სთან კავშირსა და თანამშრომლობას; სტუდენტებისთვის საერთაშორისო პროექტების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდებას. ჩვენი ღრმა რწმენით, ყოველივე ეს უფრო მეტად განავითარებს სტუდენტების შესაძლებლობებს და მეტად ხარისხიანს გახდის საგანმანათლებლო პროგრამასრეკომენდირებულია უსდ-მ უზრუნველყოს პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალისთვის შეფასების თანამედროვე ფორმებისა და მეთოდების შესახებ ტრენინგების ორგანიზება;

- ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ უნდა გაძლიერდეს საბაკალავრო პროგრამის პოლიტიკის მეცნიერებების ნაწილი, როგორც სპეციალობის დისციპლინების ასევე აკადემიური პერსონალის კუთხით

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - სასურველია, დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობისა და მინიმალური ზღვრის შესახებ ინფორმაცია სასწავლო კურსების სიალბუსებშიც აისახოს ისე, როგორც ეს უსდ-ის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულებაშია განმარტებული;
  - სასურველია, წარჩინებული სტუდენტების წახალისებისა და ხელშეწყობის მიზნით, უსდ-მ დანერგოს სასტიპენდიო პროგრამა, რომლის მოპოვებაც დამოკიდებული იქნება, როგორც აკადემიურ მიღწევებზე, ასევე კურიკულუმს მიღმა სტუდენტთა აქტივობაზე (სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, სტუდენტთა სამეცნიერო ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება და ა.შ).
  - ტრენინგები კვლევის თანამედროვე მეთოდებში;
  - ტრენინგები სწავლების თანამედროვე მეთოდებში;
  - აკადემიური პერსონალის მიტივირება შიდა (ან გარე) გრანტის მოსაპოვებლად კვლევების ჩასატარებლად დარგის მიმართულებების შესაბამისად.

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დეცენტრალიზაცია: სკოლის ხარისხის სამსახურის გაძლიერება და მიმართვა დარგისთვის სახასიათო გამოწვევებზე.
- სასურველია პროგრამას დაემატოს მემრონადუმები დამსაქმებლებთან
- ექსპეტრთა ჯგუფს მიაჩნია, რომ პროგრამას უნდა დაემატოს სტუდენტების პრაქტიკა, რაც უფრო გაამრავალფეროვნებს პროგრამას და ხელს შეუწყობს სტუდენტთა მოზიდვას

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

არ არის განსაზღვრული

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის მისია ინდივიდის თვალსაწიერის გაფართოებაა განათლების, კვლევისა და სიახლის დანერგვის ხელშეწყობით, ხოლო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის მიზანია დაეხმაროს სტუდენტებს პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების არსის გაცნობიერებაში, მოამზადოს ისინი მულტიკულტურულ გარემოში მუშაობისა და საერთაშორისო დონეზე თავის კოპეტენტურად წარმოსაჩენად. სწავლის დასრულების შედეგად პროგრამის კურსდამთავრებულებს კარგად ექნებათ გაცნობიერებული მსოფლიოში არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი, კულტურული და სოციალური განზომილებები. პროგრამის მეშვეობით სტუდენტები შეისწავლიან პოლიტიკური მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მიმდინარე თანამედროვე სამეცნიერო თეორიებს, შეძლებენ გააანალიზონ ადგილობრივ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები. ძირითადი სპეციალიზაციის პარალელურად მათ, ასევე, შეეძლებათ შეიქმნან წარმოდგენა ბიზნესის ადმინისტრირების ან საერთაშორისო სამართლის სფეროებზე. სტუდენტები, ასევე, შეძლებენ გაიღრმავონ ან ისწავლონ მეორე უცხო ენა, რაც გაზრდის მათ კონკურენტუნარიანობას შრომის როგორც ადგლობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე. ამ მხრივ, პროგრამაში ინტეგრირებული კომპონენტების ერთობლიობა იძლევა პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მიზნების მიღწევის შესაძლებლობას. აღნიშნული კურსდამთავრებულს შესაძლებლობას აძლევს ქონდეს წარმატებული პროფესიული კარიერა და დასაქმდეს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში, მათ შორის, პოლიტიკის განმახორციელებელ სახელმწიფო დაწესებულებებში, საკანონმდებლო ორგანოებში, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, კერძო კომპანიებში და ა.შ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის მისია და სტრატეგია http://www.newvision.ge/ge/content/misia-strategia • ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ღირსების კოდექსი; • ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია; • პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები; • პოლიტიკის და დიპლომატიის სკოლის ვებ-გვერდი: http://www.newvision.ge/ge/programs/politikisa-da-saertashoriso-urtiertobebis-sabakalavro-programa

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სასწავლო შედეგები წარმოდგენილია 3 ძირითადი კომპონენტის - ზოგადი კომპეტენციის, უცხო ენის და დარგობლივი

სპეციალიზაციის მიხედვით.

1. ზოგადი კომპეტენციის ფარგლებში სტუდენტს უღრმავდება ლოგიკური აზროვნება, ანალიზის და შეფასების უნარი. მას შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს კვლევის ცალკეული კომპონენტები, სწორად შეარჩიოს პრაქტიკული ამოცანის გადასაწყვეტად საჭირო სტრატეგიები, იმუშაოს გუნდთან ერთად, პატივი სცეს სხვის აზრს, საკუთარი ხედვა ჩამოაყალიბოს ლოგიკურად გამართულ არგუმენტებზე დაყრდნობით, აზრი გადმოსცეს გამართულად, თანმიმდევრულად და ლაკონურად.

2. უცხო ენის კომპონენტის ფარგლებში სტუდენტი იძენს დამატებითი უცხო ენის ცოდნას (B1 დონე). კერძოდ მას შეუძლია გამართულად ისაუბროს არჩეულ ენაზე, წერილობით და ზეპირი ფორმით ჩამოაყალიბოს საკუთარი აზრი, გაიგოს საშუალო სირთულის ტექსტის ზოგადი შინაარსი, დაამყაროს კომუნიკაცია, დამოუკიდებლად იმუშაოს ტექსტზე. სტუდენტს, ასევე, უვითარდება კავშირი არჩეულ ენაზე მოსაუბრე ერების კულტურულ ღირებულებებთან.

3. დარგობრივი სპეციალიზაციის კომპონენტის ფარგლებში სტუდენტი იძენს ღრმა ცოდნას არჩეულ სპეციალობაში (პოლიტიკის მეცნიერება ან საერთაშორისო ურთიერთობები); აცნობიერებს თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ, სამათლებრივ და სოციალურ განზომილებათა კომპლექსურობას; შესწევს კომპლექსური საერთაშორისო და ადგილობრივი მოვლენების, პროცესების პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური ანალიზისა და პრობლემის გადაჭრის კომპლექსური მეთოდების გამოყენების უნარი; მუშაობს მონაცემთა ბაზებთან, კვლევას ახორციელებს შერჩეული თეორიის გამოყენებით; უყალიბდება ეთიკური თვითშეგნება ისეთ პოლიტიკურ და სამოქალაქო ცნებებთან დაკავშირებით, როგორიცაა მართლმსაჯულება, კანონის უზენაესობა, დემოკრატიული გადაწყვეტილებების მიღება, განსხვავებული აზრის პატივისცემა, ადამიანის უფლებები და ა.შ.

4. დამატებითი კვალიფიკაციის კომპონენტის ფარგლებში სტუდენტს ეძლევა საშუალება: (ა) შეიძინოს პროფესიული გამოცდილება ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში, მიიღოს ცოდნა და განივითაროს პრაქტიკული უნარები ლიდერობის, მართვის, ფინანსების/ბუღალტრული აღრიცხვის, მარკეტინგის და ბიზნესკომუნიკაციის სფეროებში, ან (ბ) შეისწავლოს საერთაშორისო სამართალი, რაც მას დაეხმარება სამართლებრივი კუთხით გაიაზროს პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები, გამოიმუშავოს საერთაშორისო დონეზე ინტერესთა კონფლიქტის გადაჭრისთვის გამოყენებადი სამართლებრივი ინსტრუმენტები და მექანიზმები.

საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას; შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას; შეესაბამება დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები; • ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო; • შედეგების შეფასების მექანიზმი პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა, გვ.10) • სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებლების შეფასების ანგარიში; პროგრამის მიზნების და შედეგების შესაბამისობის რუკა;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს. ქართველი სტუდენტებისათვის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდები. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გამოცდების ეროვნული ცენტრი; მნიშვნელოვანია, დაკონკრეტდეს უსდ-ში მიღების წინაპირობები და გაისაზღვროს ერთ-ერთ სავალდებულო საგნად ინგლისური ენის ჩაბარება, რადგან პროგრამის სწავლების ენა ინგლისურია. იმის გამო, რომ ინგლისური ენის (ეროვნული გამოცდის) დონე B2 დონეს არ შეესაბამება, ჩარიცხული სტუდენტები დამატებთ გადიან ინგლისური ენის კურსებს (კრედიტის მინიჭების გარეშე), რომ შეძლონ კურსებში სრულფასოვანი ჩართვა. პროგრამა, ძირითადად, ორიენტირებულია უცხოელი სტუდენტების მიღებაზე. შესაბამისად, მათი მიღების წესი განსხვავებულია; მათთვის სავალდებულოა სრული ზოგადი განათლების ქონის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად წარმოადგინონ დინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დოკუმენტი. უნივერსიტეტის ფარგლებში პროგრამაზე მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს კალენდარული წლის განმავლობაში კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის

შესაბამისად.

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის აკადემიურ პროგრამებზე მისაღები პირობების შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე ქართულად და ინგლისურად.

ამასთან, ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიუების დროს, ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა და პოლიტიკისა და დიპლომატიის სკოლის დეკანმა/პროგრამის ხელმძღვანელმა ხაზი გაუსვეს სტუდენტების კონტინგენტის ზრდის ნაკლებ პრიორიტეტულობას (განსაკუთრებით ადგილობრივ ბაზარზე) და აქცენტირებას საერთაშორისო სტუდენტებზე. უსდ-ს თანამშრომლებთან ინტერვიუებში არ გამოიკვეთა უცხოელ სტუდენტთა მოზიდვის სტრატეგია; ხოლო უცხოელმა სტუდენტებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ პროგრამის შესახებ შეიტყვეს პირადი კავშირების მეშვეობით.

ვთვლით, რომ სტუდენტთა კონტინგენტის მოზიდვისათვის, ქათული ბაზრის ათვისებისათვის (რაც ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია, დღეს არსებული მსოფლიო გამოწვევის ფონზე) და აღნიშნულ საბაკალავრო პროგრამაზე მიღების მაჩვენებლის გასაზარდელად, უნივერსიტეტს სჭირდება დამატებითი აქტივობების ორგანიზება და სტრატეგიების გამრავალფეროვნება პროგრამის ცნობადობის/პოპულარიზაციის გაფართოებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი;
- უსდ-ს საგანმანათლებლო და კვლევთი საქმიანობის განხორციელების დებულება;
- პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (ქართულენოვანი/ინგლისურენოვანი ვერსია).

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- შევიდეს ცვლილება პროგრამის წინაპირობებში (უნარების გამოცდა გაუქმებულია) - დაკონკრეტდეს, რომელი საგნების ჩაბარება მოეთხოვება აბიტურიენტს (ინგლისური აუცილებლად);

- პროგრამის პოპულარიზაციის სტრატეგიების გამრავალფეროვნება ადგილობრივ ბაზარზე პროგრამის ცნობადობის გაზრდის მიზნით, რათა გაიზარდოს ქართველ სტუდენტთა რაოდენობა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე

ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის კომპონენტები არ შემოიფარგლებიან ერთი კონკრეტული კონცენტრაციით და სტუდენტებს სთავაზობენ საკუთარი პროფილის შექმნის შესაძლებლობას ძირითადი კვალიფიკაციების არჩევანის საფუძველზე. პროფილის შექმნისთვის საჭირო ელემენტები დაჯგუფებულია შემდეგნაირად:

ზოგადი კომპეტენციები (მინ. 60 კრედიტის ოდენობით), უცხო ენის კომპონენტი (30 კრედიტი), პოლიტიკის მეცნიერება (მინ. 120 კრედიტის ოდენობით) ან საერთაშორისო ურთიერთობები (მინ. 120 კრედიტის ოდენობით), დამატებითი სპეციალობა/თავისუფალი კრედიტები (30 კრედიტის ოდენობით).

უცხო ენის (არჩევანი: გერმანული ენა, ფრანგული ენა, ესპანური ენა) კომპონენტის დატვირთვა უდრის 5 სემესტრის ხანგრძლივობის კურსს 30 კრედიტის ოდენობით, რაც ითვალისწინებს ერთ სემესტრში გათვალისწინებული 180 საათის ფარგლებში

ყოველკვირეულ 4 საკონტაქტო საათს. აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში სტუდენტმა უნდა მიაღწიოს ენის B1 დონის ცოდნას. ზოგადი კომპეტენციის კომპონენტებიდან არჩეული უნდა იქნეს 5 ძირითადი და, მინიმუმ 5 არჩევითი სასწავლო კურსი საერთო ჯამში მინიმუმ 60 კრედიტის დასაგროვებლად.

პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომპონენტებიდან არჩეულ უნდა იქნეს ყველა ძირითადი სასწავლო კურსი საერთო ჯამში 72 კრედიტის დასაგროვებლად. დამატებითი 48 კრედიტის დაგროვება პოლიტიკის მეცნიერებაში ან საერთაშორისო ურთიერთობებში აუცილებელია შესაბამისი ძირითადი კვალიფიკაციის ფორმირებისთვის (სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი პოლიტიკის მეცნიერებაში ან სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი საერთაშორისო ურთიერთობებში).

ზოგად კომპეტენციაში, პოლიტის მეცნიერებასა და საერთაშორისო ურთიერთობებში დაგროვილი სხვა კრედიტები შეიძლება გამოყენებულ იქნას საერთო 240 კრედიტის დასაგროვებლად; საერთაშორისო სამართალში ან ბიზნესის ადმინისტრირებაში 30 კრედიტის დაგროვების შემთხვევაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის ფორმა;
- ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სილაბუსის ფორმა;
- `ნიუ ვიჟენ“ - უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულება.
- პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა.

რეკომენდაციები:

- სწავლის შედეგეგბის უკეთ მიღწევის მიზნით პოლიტიკის მეცნიერების კომპონენტში პროგრამას დაემატოს სავალდებულო სასწავლო კურსი პოლიტიკური ფილოსოფიის (ანტიკურიდან თანამედროვე ეპოქამდე) შესახებ.
- ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ უნდა გაძლიერდეს საბაკალავრო პროგრამის პოლიტიკის მეცნიერების ნაწილი, როგორც სპეციალობსი დისციპლინების ასევე აკადემიური პერსონალის კუთხით

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლის შედეგების შეფასების კომპონენტები, სწავლების მეთოდები, გამოყენებული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა შეესაბამება როგორც სასწავლო კურსის, ასევე საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგებს და დარგის თანამედროვე მოთხოვნებს.

სასწავლო კურსისთვის განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა შეესაბამება საკონტაქტო საათების და დამოუკიდებელი სამუშაოს ფარგლებში განსაზღვრულ დატვირთვას. სილაბუსში მითითებული მასალა და განსახილველი საკითხები შეესაბამება დარგის უახლესს ტენდენციებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ,,ნიუ ვიჟენ“ - უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულება
- ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სილაბუსის ფორმა
- პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა.
- პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტისათვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნისა მიცემისა და პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე. პროგრამის ფარგლებში ისწავლება დარგის ცოდნისათვის მიმნიჭებელი სავალდებულო და არჩევითი საგნები; ყურადღება გამახვილებელია ისეთ საგნებზე, როგორიცაა აკადემიური წერა, სტატისტიკა, კვლევის მეთოდები და ა.შ. - ეს ის კურსებია, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტს ისწავლოს, თუ როგორ ჩაატაროს კვლევა და განივითაროს კვლევისათვის საჭირო საშემსრულებლო უნარები. პროგრამაში თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების გამომმუშავებელი კურსებზე აქცენტირება აყალიბებს სამეცნიერო, შემოქმედებით და ტრანსფერულ უნარებს.

თავისუფალი კრედიტების დასაგროვებლად, სტუდენტებს სთავაზობენ კურსებს ბიზნეს ადმინისტრირებისა და სამართლის პროგრამებიდან (სკოლებიდან). მართალია,

პროგრამის ამგვარი გადატვირთვა აიხსნა იმით, რომ სტუდენტს მეტი მიმართულების საგნებზე ექნება წვდომა; მაგრამ ვფიქრობთ, რომ არამომიჯნავე დარგის საგნების შეთავაზება, არასასურველია და არაპროდუქტიულიც შედეგის მისაღებად. პროგრამა არ ითხოვს საბაკალავრო ნაშრომის დაცვას, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში პროგრამის ხელმძღვანელი სამუშაო ჯგუფთან ერთად აქტიურად აძლიერებს კურსებს კვლევითი უნარების განვითარებისა და გაძლიერებისათვის. რაც მისასალმებელია. პროგრამა პერიოდულად აწყრობს საჯარო ლექციებს, რაც ეხმარება სტუდენტს დისკუსიისა და მსჯელობის უნარების შეძენაში. სასურველი იქნებოდა, რომ პროგრამა ორიენტირდეს სტუდენტური კონფერენციების ორგანიზებაზე და სტუდენტთა მონაწილეობაზე აღნიშნულ ღონისძიებაში. კვლევითი უნარების განცითარებისათვის მნიშვნელოვანი იქნებოდა სტუდენტთა ჩართულობა კვლევით პროექტებში, მითუმტეს რომ უსდ-ს აქვს შიდა საგრანტო მექნიზმი, რომლის მეშვეობითაც, ერთის მხრივ, შეიძლებოდა აკადემიური პერსონალის აქტიურად ჩართვა კვლვით პროექტებში და, მეორეს მხრივ, სტუდენტთა კვლევით დაინტერესება და მათი კვლევის უნარების გაძლიერება. ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის შესაბამისად, ფაკულტეტი ხელს უწყობს სტუდენტების საგანმანათლებლო და პროფესიულ განვითარებას; ზრდის საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობებს მათთვის მობილობისა და გაცვლითი პროგრამების სახით. თუმცა, აღსანიშნავია, რომ პროგრამა არ მონაწილობს ერზმუსის პროგრამებში; ეს სტრატეგიის სამომავლო გეგმებია. შთამბეჭდავია ფაკულტეტის მიერ გაფორმებული მემორანდუმების რაოდენობა, ძირითადად, ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებთან. თუმცა, უშუალოდ დარგის მიმართულებით ასეთი მხოლოდ 2-3-ია. პოპულარიზაციის სტრატეგიას უნდა დაემატოს ადგილობრივ ბაზარზე ფუნქციონირებადი საჯარო/არასამთავრობო თუ სხვა ტიპის, მაგრამ დარგში მომუშავე ორგანიზაციები. პროგრამის არსებული და სამომავლო მემორანდუმების უფრო ეფექტიანი გამოყენებისათვის, საჭიროა აღნიშნულ უნივერსიტეტებთან/ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გააქტიურება კონკრეტულად პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში სტუდენტთა პრაქტიკული, ტრანსფერული და დარგობრივი უნარების განვითარება/გაძლიერების მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • მემორანდუმები; • პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია. • პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა; • უსდ-ს საგანმანათლებლო და კვლევთი საქმიანობის განხორციელების დებულება; • თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუები სტუდენტებთან, აკურსდამთავრებულებთან, აკადემიურ და

მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • გაძლიერედეს საბაკალავრო ნაშრომის დაწერის სამოტივაციო მექანიზმები; • გაძლიერდეს სტუდენტურ კონფერეციების ორგანიზებისა და მათში მონაწილეობის სამოტივაციო მექანიზმები; • ინტერნაციონალიზაციამ უნდა მოიცვას უნივერსიტეტი, სამოქალქო თუ საჯარო ორგანიზაცია და ა.შ. კონკრეტულად დარგის მიმართულებით; • სასურველია გააქტიურდეს პროგრამის სტუდენტების ჩართულობა იმ ორგანიზაციების საქმიანობაში, რომელთანაც უნივერსიტეტს დადებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები სტუდენტების პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარება/გაძლიერების მიზნით დარგის მიმართულების გათვალისწინებით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა ხელს უწყობს როგორც კვლევითი, ისე პრაქტიკული უნარების განვითარებას სწავლების სხვადასხვა მეთოდის მეშვეობით. აღნიშნული, თავის მხრივ, ეყრდნობა აუდიტორიაში ინტერაქტიული შემეცნების, სტუდენტის მიერ დამოუკიდებლად და თანატოლებთან ერთად ჯგუფში სწავლის კომბინაციას.

სწავლის პროცესში სისტემატურად გამოიყენება ვერბალური და წერითი მუშაობის სხვადასხვა მეთოდი, სკითხების წარმოსაჩენად გამოიყენება ვიდეო-აუდიო საშუალებები, როლური და სიტუაციური თამაშები, იმართება დისკუსია/დებატები, მუშაობა მიმდინარეობს სამუშაო ჯგუფების ფორმატში, სისტემატურად ხდება პრაქტიკული შემთხვევების ანალიზი, გამოიყენება ახსნა–განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი, ელექტრონული სწავლების მეთოდი და სხვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების საგანამანათლებლო საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები;
- ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის წერითი ნაშრომის კომპონენტების შეფასების ნიმუშები;
- ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები;
- `ნიუ ვიჟენ“ - უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულება.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დადგინდა რომ სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალე და კანონმდებლობასთან მეტწილად შესაბამისია.

სასწავლო კურსების სილაბუსების მიხედვით, სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად სემესტრის განმავლობაში გამოიყენება ცოდნის შეფასების მრავალკომპონენტიანი სისტემა, კერძოდ კი შუალედური შეფასებები და დასკვნითი გამოცდა, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას - 100 ქულას. ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულების მიხედვით, დასკვნითი გამოცდა არ უნდა აღემატებოდეს 40 ქულას (საერთო შეფასების 40%). ხოლო შუალედური შეფასებისთვის შუალედური გამოცდის გარდა, გამოიყენება ისეთ მრავალჯერადი შეფასების კომპონენტები, როგორიცაა წერითი გამოკითხვა, პრაქტიკული/თეორიული დავალებების შესრულება, პრეზენტაცია, ჯგუფური მუშაობა, დისკუსია და ა.შ. შესაბამისად, შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით, რაც დეტალურადაა მოცემული სასწავლო კურსების სილაბუსებში. ამრიგად, თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები მეტწილად ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ სასწავლო კურის სილაბუსში, კერძოდ: 1.ტერორიზმი, კიბერ-უსაფრთხოება და მომავლის სახელმწიფო, 2. მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკური გეოგრაფია, 3. შესავალი საჯარო ადმინისტრირებაში, 4. საჯარო პოლიტიკა და ასევე ფრანგული ენის (A1; A2.1; A2.2; B1.1; B1.2) სილაბუსებში შეფასების რუბრიკაში დასკვნითი შეფასების კრიტერიუმები ჩაშლილია 10ქულიანი დიაპაზონით (40-31 ქულა; 30-21 ქულა; 20-11 ქულა; 10-1 ქულა; 0-

ქულა), შესაბამისად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდირებულად მიიჩნევს შეფასების კრიტერიუმების მეტად დეტალიზირებას, რათა შეფასების პროცესი მეტად ობიექტური და ვალიდური იყოს. ასევე, აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს ვერ დადასტურდა, რომ პროგრამის პერსონალი იღებს მხარდაჭერას შეფასების თანამედროვე ფორმებისა და მეთოდების შესახებ უნარების განვითარებისთვის, ამიტომ რეკომენდირებულია უსდ-მ უზრუნველყოს პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალისთვის შეფასების თანამედროვე ფორმებისა და მეთოდების შესახებ ტრენინგების ორგანიზება.

ამასთან შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. სასწავლო კურსი დაძლეულია 51 ქულის (51%) მიღების შემთხვევაში. დასკვნითი გამოცდისათვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარია დასკვნითი შეფასების 50%. დასკვნით გამოცდაზე დაიშვება სტუდენტი, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა. სტუდენტი, რომელმაც ვერ დააგროვა 51 ქულა ან ვერ გადალახა დასკვნითი გამოცდისათვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი დამატებით გამოცდაზე დაიშვება, თუ მიღებული აქვს 41 ქულა. უსდ-ის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულების მიხედვით, დამატებითი გამოცდა დაუშვებელია ჩატარდეს ძირითადი გამოცდის ჩატარებიდან 10 დღეზე მოკლე ვადაში. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსების სილაბუსებში არაა მითითებული დასკვნით გამოცდაზე დაშვებისთვის საჭირო ქულის ოდენობისა და დასკვნითი გამოცდის მინიმალური ზღვრის შესახებ ინფორმაცია, აღნიშნული ინფორმაცია ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულებაშია გაწერილი, ამიტომ სასურველია, რომ მინიმალური ზღვრების შესახებ ინფორმაცია სასწავლო კურსების სილაბუსებშიც აისახოს.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა (სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება).

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები (სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი)

პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო

პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ და დაწერონ კვლევითი პროექტი/ნაშრომი საერთაშორისო ურთიერთობებში ან პოლიტიკის მეცნიერებაში, რომელიც ფასდება ხელმძღვანელის მიერ 40 ქულით, ხოლო შესაბამისი კომისიის მიერ 60 ქულით უსდ-ში არსებული წერითი ნაშრომის შეფასების წესის მიხედვით განსაზღვრული კრიტერიუმებით.

დისტანციური ვიზიტის დროს დადგინდა, რომ შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია ელექტრონულ სასწავლო პორტალზე და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის, ასევე პროგრამის სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, სწავლის შედეგებზე, შუალედური და დასკვნითი გამოცდების შემდეგ ლექტორები აცნობენ სტუდენტებს შედეგებს და უთითებს ძლიერ და სუსტ მხარეებზე, ასევე განიხილავენ დაშვებული შეცდომების გამოსწორების გზებს, მსგავსი უკუკავშირი კი ხელს უწყობს შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის არსებობას. ამასთან, უზრუნველყოფილია სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრება, რაც დასტურდება საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების მარეგულირებელი დებულებით, რომლის მიხედვითაც სტუდენტი უფლებამოსილია უშუალოდ გაეცნოს მის ნაშრომს და გაასაჩივროს მიღებული შედეგი სტუდენტურ ელექტრონულ პორტალზე ასახვიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. სტუდენტმა განცხადებაში უნდა მიუთითოს კონკრეტულად რომელ საკითხს ან შეფასების რა კომპონენტს აპროტესტებს, რის შემდეგაც ადმინისტრაცია უზრუნველყოფს დროებითი კომისიის მოწვევას შემდეგი შემადგენლობით: კომპონენტის ხელმძღვანელი, კომპონენტის განხორციელებაში ჩართული სხვა პირი, სკოლის დეკანი და სკოლის ადმინისტრაციის ერთი წარმომადგენელი. ამასთან, სტუდენტი კომისიის წინაშე წარდგება დასაბუთებული საჩივრით რა დროსაც შესაძლებელია კომისიის მხრიდან დამატებითი კითხვების დასმა გასაჩივრებულ საკითხთან მიმართებაში, რის შემდეგაც კომისია იღებს გადაწყვეტილებას.

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კომიტეტი რეგულარულად ახორციელებს სტუდენტთა შეფასების მონიტორინგს და შედეგების მიხედვით საჭირო ღონისძიებების გატარებას, რაც დასტურდება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმითა და 2015-2019 წლებში აკადემიური მოსწრების შეფასების შედეგების ანალიზის დოკუმენტით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ნიუ ვიჟენ - უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულება (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2013 წლის 26 სექტემბრის N3 ოქმით);
- პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები;
- წერითი ნაშრომის შეფასების კომპონენტები;
- ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტში საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების მარეგულირებელი დებულება;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;

- აკადემიური მოსწრების შეფასების შედეგების ანალიზი (2015-2019 აკადემიური წლები);
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები;

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია სასწავლო კურსების: 1.ტერორიზმი, კიბერ-უსაფრთხოება და მომავლის სახელმწიფო, 2. მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკური გეოგრაფია, 3.შესავალი საჯარო ადმინისტრირებაში, 4. საჯარო პოლიტიკა და ასევე ფრანგული ენის (A1; A2.1; A2.2; B1.1; B1.2) სილაბუსებში დასკვნითი შეფასების უფრო დეტალური კრიტერიუმების განსაზღვრა, რათა შეფასების პროცესი მეტად ობიექტური და ვალიდური იყოს. აღნიშნულ სილაბუსებში დღეის მდგომარეობით დასკვნითი შეფასების კრიტერიუმები ჩაშლილია 10ქულიანი დიაპაზონით (40-31 ქულა; 30-21 ქულა; 20-11 ქულა; 10-1 ქულა; 0-ქულა).
- რეკომენდირებულია უსდ-მ უზრუნველყოს პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალისთვის შეფასების თანამედროვე ფორმებისა და მეთოდების შესახებ ტრენინგების ორგანიზება;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობისა და მინიმალური ზღვრის შესახებ ინფორმაცია სასწავლო კურსების სიალბუსებშიც აისახოს ისე, როგორც ეს უსდ-ის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულებაშია განმარტებული;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შესაბამისი დოკუმენტების გაცნობის, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, სასწავლო პერსონალთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევებზე, სწავლის შედეგებზე და დასაქმებაზე კონსულტაციას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებამ ექსპერტთა ჯგუფი დაარწმუნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ სტუდენტებისთვის სათანადო ინფორმაციის მიწოდებას. ამასთან, აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთა საკონსულტაციო საათები. პროგრამის კურსდამთავრებულებმა და სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ლექტორებთან კომუნიკაციის პრობლემა არ შექმნიათ, მეტიც საჭიროებისამებრ კონსულტაციის მიღება მათ შეუძლიათ როგორც დისტანციურად, ისე უნივერსიტეტში. ახლად ჩარიცხულ სტუდენტებს სასწავლო პროცესის ძირითადი ასპექტების გაცნობის მიზნით უტარდებათ საორიენტაციო შეხვედრები უნივერსიტეტის და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან. პოლიტიკის და დიპლომატიის სკოლის დეკანი ასეთი სტუდენტებისათვის ატარებს პროგრამის პრეზენტაციას, რომელზეც სტუდენტს შეუძლია ძირფესვიანად გაეცნოს

საგანმანათლებლო პროგრამას და დაუსვას კითხვები ადმინისტრაციის წევრებს. ამასთან, პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სემესტრის დასაწყისში პირადად ხვდება სტუდენტებს, ერთი მხრივ, რათა მათი შეხედულებისამებრ უზრუნველყოს პროგრამისა და სილაბუსების განვითარება, ხოლო მეორე მხრივ, დაეხმაროს სტუდენტებს პრობლემური საკითხების აღმოფხვრაში. ასევე პროგრამას ემსახურება სასწავლო პროცესის მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებულობას არჩევითი და სავალდებულო კომპონენტების კრედიტების განაწილებისა და სხვა საკითების ირგვლივ.

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტური სერვისების ცენტრი, რომელიც ერთი ფანჯრის პრინციპით მუშაობას, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს სტუდენტისთვის ერთ სივრცეში სხვადასხვა სერვისის შეთავაზებას. ასევე აღნიშნული ცენტრი უზრუნველყოფს სტუდენტთა მომსახურებას ისეთი საკითხების ირგვლივ, როგორიცაა სტუდენტის სტატუსის შესახებ ცნობის, ნიშნების ამონაწერისა და სხვა საჭირო დოკუმენტაციის გაცემა. ამასთან, ინტერვიუს პროცესში უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა და პროგრამის სტუდენტებმა განაცხადეს, რომ სტუდენტებს აღნიშნული სერვისებით ელექტრონულად სარგებლობაც შეუძლიათ. ცენტრის წარმომადგენლის თქმით, სასწავლო პროგრამასთან დაკავშირებული სპეციფიკური საკითხის განხილვისთვის სტუდენტის გადამისამართება ხდება შესაბამისი სკოლის კოორდინატორთან. ამასთან, ელექტრონული სასწავლო პორტალისა და უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით სტუდენტები იღებენ ინფორმაციას სასწავლო და საგამოცდო ცხრილების, სილაბუსებისა და სწავლის შედეგების შეფასებების შესახებ. ასევე, სტუდენტები ყოველი სემესტრის ბოლოს მონაწილეობენ ხარისხის სამსახურის მიერ ორგანიზებულ გამოკითხვაში. შესაბამისად, სტუდენტური სერვისების ცენტრი ორიენტირებულია სტუდენტებისთვის ჯანსაღი გარემოს შექმნაზე. ასევე სურვილისამებრ უსდ-ში სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ ფსიქოლოგის კონსულტაციით.

აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს ვერ დადასტურდა სტუდენტთა მონაწილეობა საერთაშორისო მობილობაში, გაცვლით პროექტებსა თუ საერთაშორისო სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში, ასევე აღსანიშნავია, რომ პროგრამის სტუდენტები არც ადგილობრივ კონფერენციებსა და პროექტებში არიან ჩართულნი ამიტომ, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდირებულად მიიჩნევს საერთაშორისო მობილობაში, გაცვლით პროექტებსა და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში სტუდენტთა მონაწილეობის ხელშეწყობის მექანიზმების გაუმჯობესებას, რათა სტუდენტებისთვის აღნიშნული შესაძლებლობებით სარგებლობა მეტად რეალური გახდეს. ასევე, რეკომენდირებულია უსდ-მ პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის უზრუნველყოს კურიკულუმის მიღმა ღონისძიებების ორგანიზება და მათში სტუდენტთა ჩართვა, მათ შორის ადგილობრივი სტუდენტური კონფერენციების გამართვა, კვლევით პროექტებში სტუდენტების ჩართვა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით სხვა შემეცნებითი აქტივობებისა და ღონისძიებების ორგანიზება. აღსანიშნავია, რომ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტში დისტანციური ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ უსდ-ს ადმინისტრაცია აღნიშნულ გამოწვევას იზიარებს და

აღინიშნა, რომ პროგრამის განხორციელებაში საერთაშორისო მიმართულების გასაძლიერებლად შემდეგი სასწავლო სემესტრიდან იგეგმება გაცვლითი პროექტებისა და საერთაშორისო მობილობის ორგანიზება ბელგიაში დიპლომატიის და პროტოკოლის საერთაშორისო სკოლასთან (ISPD), ესპანეთში კასტილია ლა-მანჩას უნივერსიტეტთან, ასევე ესპანეთში ლა კორუნას უნივერსიტეტთან, უკრაინაში ჩერნოვიცის ეროვნულ უნივერსიტეტთან, პოლონეთში სოციალურ მეცნიერებათა უნივერსიტეტთან და იტალიაში კატანიის უნივერსიტეტთან ერთად თანამშრომლობის შესაბამისად. ამასთან, აღსანიშნავია, რომ იტალიის კატანიის უნივერსიტეტიდან 2019 წლის შემოდგომის სემესტრში ნიუ ვიჟენის პოლიტიკისა და დიპლომატიის სკოლაში მობილობა განახორციელა სტუდენტმა მან ასევე ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის დახმარებით პარლამენტში ევროინტეგრაციის კომიტეტში და საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდშიც მისი კვლევის პრაქტიკული კომპონენტისთვის ჩაატარა ინტერვიუები.

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კარიერული განვითარების ცენტრი, რომელშიც დასაქმებული ადმინისტრაციული პერსონალი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს აწვდიან ინფორმაციას ვაკანსიებისა და დასაქმების ფორუმების შესახებ, რაც როგორც სტუდენტებთან ასევე, კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს დადასტურდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა;
- კონსულტაციისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის ცენტრის სამუშაო აღწერილობები;
- კარიერული განვითარების ცენტრის სამუშაო აღწერილობები;
- სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი;
- პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობები;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები;

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების ფარგლებში საერთაშორისო მობილობაში, გაცვლით პროექტებსა და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში სტუდენტთა მონაწილეობის ხელშეწყობის მექანიზმების გაუმჯობესება, რათა სტუდენტებისთვის აღნიშნული შესაძლებლობებით სარგებლობა მეტად რეალური გახდეს;

- რეკომენდირებულია უსდ-მ პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის უზრუნველყოს

კურიკულუმის მიღმა ღონისძიებების ორგანიზება და მათში სტუდენტთა ჩართვა (მაგალითად: ადგილობრივი სტუდენტური კონფერენციების გამართვა, კვლევით პროექტებში სტუდენტების ჩართვა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით სხვა შემეცნებითი აქტივობებისა და ღონისძიებების ორგანიზება);
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, წარჩინებული სტუდენტების წახალისებისა და ხელშეწყობის მიზნით, უსდ-მ დანერგოს სასტიპენდიო პროგრამა, რომლის მოპოვებაც დამოკიდებული იქნება, როგორც აკადემიურ მიღწევებზე, ასევე კურიკულუმს მიღმა სტუდენტთა აქტივობაზე (სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, სტუდენტთა სამეცნიერო ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება და ა.შ).
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი არ შეფასდა
მტკიცებულებები/ინდიკატორები

○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		X		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება კონკურსის წესით შერჩეული აკადემიური პერსონალისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული პერსონალის მიერ, რომელთაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელი კვალიფიკაცია. მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის შეფასებისას მხედველობაში მიიღება პირის აკადემიური ხარისხი, მიღებული სპეციალური განათლება, პუბლიკაციები ან/და პროფესიული გამოცდილება. აკადემიური თანამდებობის დაკავება ხდება ღია კონკურსის წესით გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით. აკადემიური პერსონალის შერჩევისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მრავალმხრივ, პრაქტიკულ და საერთაშორისო გამოცდილებას, რაც მულტიდისციპლინური კურიკულუმის შეთავაზებისას უნივერსიტეტის უპირატესობას წარმოადგენს. რამდენადაც პროგრამა ინგლისურენოვანია, მის განხორციელებაში ჩართული არიან უცხოელი სპეციალისტები, რაც პროგრამას კიდევ უფრო მრავალფეროვანს ხდის. კონკურსი აკადემიურ თანამდებობაზე ცხადდება მინიმუმ წელიწადში ორჯერ. მოწვეული პერსონალის რაოდენობა დამოკიდებულია პროგრამის სპეციფიკაზე. უნივერსიტეტში მოქმედებს აკადემიური პერსონალის დატვირთვის ჩარჩო სქემა, რომელიც კონკრეტდება ცალკეული სკოლის ინტერესების შესაბამისად. უნივერსიტეტის პერსონალი ზრუნავს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებასა და სტუდენტებისთვის ეფექტიანი აკადემიური კონსულტაციის გაწევაზე. ამ მიზნების მიღწევა საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის უშუალო მოვალეობაა, კერძოდ იგი პასუხისმგებელია:

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის აფილირების პოლიტიკა;
- 2020 წლის განაცხადი საგანმანათლებლო პროგრამისა და დოქტორანტის ხელმძღვანელობის შესახებ;
- კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის პერსონალის სამსახურში მიღების პოლიტიკა;
- პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები;
- სასწავლო კურსების და აკადემიური პერსონალის ჩამონათვალი.

რეკომენდაციები:

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ უნდა გაძლიერდეს საბაკალავრო პროგრამის პოლიტიკის მეცნიერებების ნაწილი, როგორც სპეციალობის დისციპლინების ასევე აკადემიური პერსონალის კუთხით

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის

განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა აფორმებს აკადემიურ ნაწილთან (აფილირებულ, ასოცირებულ თუ მოწვეულ) ხელშეკრულებას უვადოდ; თუმცა, ყოველ ხუთ წელიწადი ერთხელ ხდება აკადემიური პერსონალის ატესტაცია. (ინტერვიუებისას ნათლად არ გამოიკვეთა პერსონალის ატესტაციის ფორმატი; თვითშეფასება მოუთითებს, რომ „დატვირთვის ანალიზი ატესტაციის შედეგების საფუძველია“, რაც უფრო ბუნდოვანს ხდის პერსონალის ატესტაციის პროცედურას).

უსდ-ში დანერგილია პროგრამის განხორციელებაში ჩართული, როგორც აფილირებული, ასოცირებული, ისე მოწვეული პერსონალის პერიოდული შეფასება. შეფასების მექანიზმი სამი ტიპისაა: აკადემიური და მოწვეული ლექტორების თვითშეფასება (ინტერვიუები); სტუდენტების მიერ ლექტორების შეფასება და სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი და ანალიზი. ლექტორების თვითშეფასებაში აისახება მათი აკადემიური დატვირთვა და კვლევები. ანგარიშს ეცნობა პროგრამის ხელმძღვანელი, მისი სამუშაო ჯგუფი ხარისხის კულტურის კომიტეტთან ერთად; ისინი შეიმუშავებენ სამოქმედო გეგმას პრობლემის გამოკვეთის შემთხვევაში.

უსდ-ში ფუქციონირებს პერსონალურ განვითარებაზე მორგებული ინდივიდუალური მოდელი კონკრეტული პროფესორის/ლექტორის საჭიროებების განთვალისწინებით; თუმცა, პერსონალთან ინტერვიუირებისას, ეს მოდელი არ იყო ნახსენები, შესაბამისად; დასაკონკრეტებელია, თვითონ პროგრამა როგორ ამუშავებს აღნიშნულ მოდელს.

უსდ გამოყოფს შიდა გრანტებს კვლევებისათვის. კვლევის ფარგლებში ანალიზირდება ლიტერატურული ტექსტები. სასურველია, მეტი პროფესორი იყოს ჩართული საკუთარი მიმართულებით კვლევებში და მოიზიდონ სტუდენტებიც კვლევების ჩასატარებლად.

კარგი იქნებოდა, პროგრამამ ტრენინგების მეშვეობით (ძირითადად სწავლებისა და კვლევის მეთოდებში) უზრუნველყოს პერსონალის მიერ სწავლების პროცესის გაუმჯობესება და სტუდენტის ჩართულობა კვლევით პროცესებში. რაც სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს, რადგან პროგრამა ფლობს საჭირო რესურსს უცხოელი პედაგოგების სახით. ამასთან დოკუმენტი, „პერსონალის საქმიანობის კვლევა“ აჩვნებს, რომ აკადემიური პერსონალის 74% სურს ტრენინგი „კვლვის თანამედროვე მეთოდებში“, ხოლო 60%-ს კი „სწავლების თანამედროვე მეთოდებში“.

დამატებით, უნდა აღსანიშნოს, რომ ფართო ინტერნაციონალიზაციის პირობებში, უსდ-მ, კერძოდ კი, პოლიტიკის მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობის პროგრამამ უნდა მოახერხოს საერთაშორისო/ ადგილობრივი კონფერენციების ორგნიზების ხელშეწყობა და საკუთარი სამეცნიერო ჟურნალის გამოცემა, რაც გაზრდის ლექტორთა კვლევით მოტივაციას და გააფართოებს სტუდენტთა ჩართულობას კვლევით საქმიანობაში. საერთაშორისო პარტიონთა მრავალფეროვნება ნაყოფიერი ნიადაგს ქნის საზღვარგარეთიდან პროფესორების მოსაწვევად უცხოური მოცდილების

გაზიარებისა/შეძენის მიზნით ადგილობრივი პერსონალისადმი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების დოკუმენტი; ○ პერსონალის საქმიანობის კვლევა: ○ უსდ-ს საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის დებულება; ○ ფაკულტეტის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია; ○ მემორანდუმები; ○ ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, ადმინისტრაციასთან, ხარისხის კულტურის კომიტეტთან, ადგილობრივ და უცხოელ ლექტორებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • ტრენინგები კვლევის თანამედროვე მეთოდებში; • ტრენინგები სწავლების თანამედროვე მეთოდებში; • აკადემიური პერსონალის მიტივირება შიდა (ან გარე) გრანტის მოსაპოვებლად კვლევების ჩასატარებლად დარგის მიმართულებების შესაბამისად.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ შიდა საგრანტო სქემა
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ვინაიდან, ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო, შეფასება განხორციელდა თანამედროვე ელექტრონული საშუალების მეშვეობით, ინტერვიურების და თვითშეფასების ანგარიშის საფუძველზე დადგინდა პროგრამის მატერიალური რესურსის შესაბამისობა პროგრამის მოთხოვნებთან. დაწესებულების განმარტებით, აუდიტორიებს აქვთ სასწავლო პროცესისთვის საჭირო აღჭურვილობა. ბიბლიოთეკა ინტეგრირებულია საერთაშორისო ბიბლიოთეკის ქსელში და აქვს წვდომა სპეციალიზებულ ელექტრონულ რესურსებზე, როგორიცაა EbscoHost, HeinOnline, ELSEVIER სისტემის ბაზები: Science Direct, SciVal finder, Scopus, Mendeley–ს მონაცემები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიბლიოთეკა და საბიბლიოთეკო ბაზები;
- ინტერვიურება დაწესებულების ადმინისტრაციასთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის ბიუჯეტი მოიცავს პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამაზე დაგეგმილი შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ ინფორმაციას. პროგრამის დეტალური ბიუჯეტი ცხადყოფს პროგრამის მდგრადობას. ბიუჯეტი ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის დაფინანსებას სხვადასხვა კონფერენციებში მონაწილეობის მიღების მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის ბიუჯეტი;
- პროგრამის ბიუჯეტი.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს განსაზღვრევს და მონიტორინგს უწევს ხარისხის უზრუნველყოფის საუნივერსიტეტო ორგანო - ხარისხის კულტურის კომიტეტი, რომლის ფუნქციაა, იზრუნოს სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანობაზე. ის აფასებს აკადემიური პერსონალის განვითარების ხარისხს და მუშაობს აკადემიური პროცესის უწყვეტ გაუმჯობესებაზე. ხარისხის კულტურის კომიტეტი ფუნქციონირებს, როგორც საუნივერსიტეტო დონეზე, ისე კონკრეტული მიმართულებებითაც. ის ახდენს ორგანიზაციული სიახლეების გაზიარებას და დამკვიდრებას.

ამავდროულად, ყოველ სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნვეყოფის სამსახურები. აღნიშნულ კომიტეტში თითოეული სკოლის ხარისხის შენარჩუნება/ამაღლების მიზნით, წარმოდგენილია ერთი წარმომადგენელი ყველა სკოლიდან. ეს, ერთის მხრივ, საშუალებას აძლევს კომიტეტს გაუწიოს მონიტორინგი ცალკეული სკოლის ხარისხის სამსახურს, და, მეორეს მხრივ, იყოს საქმის კურსში კონკრეტული სამსახურის წინსვლებსა თუ გამოწვევებში. მიუხედვად კომიტეტის ეფექტიანი ფუნქციონირებისა (ინტერვიუ კომიტეტის თავმჯდომარესთან), სასურველია მოხდეს დეცენტრალიზაცია და სკოლების ხარისხის სამსახურების გაძლიერება - მათი მეტად კონცენტრირება სკოლისთვის/პროგრამისათვის სპეციფიურ გამოწვევაზე.

ყოველი სემესტრის ბოლოს ხდება სტუდენტური გამოკითხვების გაცნობა, ანალიზი და ზომების მიღება; აღსანიშნავია, პროგრამის ხელმძღვანელის პერიოდული შეხვედრები (როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური) აკადემიურ პერსონალთან. მათი აზრის მოსმენა, გაზიარება და გათვალისწინება შემდგომი სემესტრისათვის.

ინტერვიუებმა აჩვენა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი ჯგუფთან ერთად აქტიურად მუშაობდა პროგრამის გაუმჯობესებისათვის; თვითშეფასების ჯგუფიც მუშაობდა გუნდურად თანაბრად გადანაწილებული მოვალეობებით. გამოიკვეთა პროგრამის ხელმძღვანელისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ეფექტიანი ჩართულობა სასწავლო პროცესში და პროგრამის გასავითარებელ ღონისძიებებში. აღნიშნის ღირსია, პროგრამის ხელმძღვანელის ღიაობა ახალი ინიციატივებისადმი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი;
- პროგრამის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- ხარისხის კულტურის კომიტეტის დებულება;
- პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობის პროგრამა;
- ინტერვიუები თვითშეფასების ჯგუფთან, ადმინისტრაციასთან, ხარისხის კომიტეტთან; პროგრამის ხელმძღვანელთან; აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დეცენტრალიზაცია: სკოლის ხარისხის სამსახურის გაძლიერება და მიმართვა დარგისთვის სახასიათო გამოწვევებზე.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა პერიოდულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. პროგრამის პირველადი აკრედიტაციის მიღების შემდეგ, მოხდა ექსპერტების რეკომენდაციების ნაწილის გაზიარება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ (პროგრამის მოკლე მიმოხილვა მოიცავს აღნიშნულ ინფორმაციას). პროგრამის განვითარებისათვის ხდება სხვა საგანმანათლებლო პროგრამებზე გაზიარებული რეკომენდაციების და საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენება და დანერგვა. კურიკულუმის განვითარებისა და გაუმჯობესებისათვის უნივერსიტეტი ასევე იყენებს დარგის ექსპერტების, ხშირ შემთხვევაში პარტნიორი უნივერსიტეტების პროფესორების, შეფასებას და ახდენს მათი მოსაზრებების გათვალისწინებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ხარისხის კულტურის კომიტეტის დებულება
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის, ისევე როგორც უსდ-ს მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებას ახორციელებს ხარისხის კულტურის კომიტეტი. სკოლის, ამ შემთხვევაში, პოლიტიკა და დიპლომატიის, საბჭოზე იხილება ახალი საგანმანათლებლო პროგრამა ან არსებულ პროგრამაში შესატანი ცვლილებები, მზადდება დასკვნა, რომელიც წარედგინება აკადემიურ საბჭოს. რა თქმა უნდა, მთელი პროცესი მიმდინარეობს ხარისხის კულტურის კომიტეტის ჩართულობით. ამავე კომიტეტის მიზანია სასწავლო პროცესისა და შედეგების გაუმჯობესების მექანიზმების შემუშავება. მექანიზმები ითვალისწინებს, როგორც სკოლის დეკანის, ისე პროგრამის ხელმძღვანელის, ასევე სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მოსაზრებებს კონკრეტულ პროგრამასთან მიმართებაში. კომიტეტის მოვალეობაა პერსონალის საქმიანობის შემფასებელი სისტემის შექმნა, ამუშავება და შედეგების მიხედვით პრობლემების გამოსწორება (ინტერვიუებიდან, პერსონალის შეფასების ძირითად მექანიზმად გამოიკვეთა სტუდენტების სემესტრული გამოკითხვები, ონლინ ყველასთვის, ქართველი სტუდენტებისათვის დამატებით სიღრმისეული ინტერვიუები).

ხარისხის კულტურის კომიტეტი ახორციელებს აკადემური მოსწრების მონიტორინგსაც; შედეგების საფძველზე მუშავდება რეკომენდაციები.

კომიტეტი „დაგეგმვის“ პერიოდში სწავლობს დაინტერესებული მხარეების შეხედულებებს მათი შემდგომი გამოყენებისათვის. მეორე ეტაპზე, „განახორციელე“, აკეთებს პროგრამის მიმდინარეობის მონიტორინგს წარმატებისა თუ გამოწვევების დასადგენად; შემდგომ, კომიტეტი გადადის „შეამოწმე“ სტადიაზე და ადგენს ხარვეზებს გამოკითხვების მეშეობით და „განავითარე“ პერიოდში, მონაცემთა ანალიზის შედეგების საფუძველზე, გასცემს რეკომენდაციებს.

კომიტეტი ფუნქციურად დატვირთულია და პასუხისმგებელია მთელი უსდ-ს სკოლებისა და პროგრამების ეფექტიან განხორციელებაზე. მიუხედვად იმისა, რომ თითოეული სკოლის ხარისხის სამსახურის წარმომადგენელი კომიტეტშია, მაინც სასურველი იქნებოდა, რომ კონკრეტული სკოლის ხარისხის სამსახურს ჰქონდეს მეტი ავტონომია მონიტორინგისა და შეფასების პროცესი.

ამავდროულად, პროგრამის შეფასებისათვის ხდება პროგრამის შედარება საერთაშორისო უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან მისი გაუმჯობესების მიზნით. ვფიქრობ, რომ ცუდი არ იქნებოდა ადგილობრივ მსგავს პროგრამებთან შედარება დარგის ცოდნის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი;
- ხარისხის კულტურის კომიტეტის დებულება;
- სასწავლო კურსების შეფასების ანალიზი;
- სტუდენტთა გამოკითხვის ანალიზი;

○ ინტერვიუები თვითშეფასების ჯგუფთან, ადმინისტრაციასთან, ხარისხის კულტურის კომიტეტთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ლექტორებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • კონკრეტული სკოლისათვის მეტი ავტონომიურობის მინიჭება; • ადგილობრივ ანალოგიურ პროგრამებთან შედარება დარგის ცოდნის გაუმჯობესებისათვის.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია	არ არის შესაბამისობაში

		მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი:
პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობები, ბაკალავრიატი:

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 41

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		X		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

დავით გეგეჭკორი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ნინო ფავლენიშვილი

მალხაზ გაგუა

ნიკა გიგაური